(სსმ III, 29.03.2010 წ., N 22 მუხ. 491)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
120.260.020.22.034.014.387

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება N 337
2010 წლის 25 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ

"პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტისა და "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის [1]614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის "ა" და "ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

დანართი N1

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) ყოველდღიური ზაფხულის ფორმა



ყოველდღიური ზაფხულის ფორმა ყოველდღიური ზაფხულის ფორმა

პლანშეტი 1

1. ყოველდღიური ზაფხულის ფორმა – შავი ფერის შარვალი; ლურჯი ფერის მოკლემკლავიანი უსაყელო მაისური; ლურჯი ფერის წინაფრიანი ქუდი; ქუდის წინა მხარეს და მაისურის უკანა მხარეს ოქროსფერი (ყვითელი) წარწერა ქართულ ენაზე: "სოდ"; სახელმწიფო სპეციალური წოდების (შემდგომში_წოდება) შესაბამისი ფურნიტურა და ატრიბუტიკა.

2. ყოველდღიური ზაფხულის ფორმა - შავი ფერის შარვალი; ლურჯი ფერის მოკლემკლავიანი მაისური საყელოთი; ლურჯი ფერის წინაფრიანი ქუდი; ქუდის წინა მხარეს და მაისურის უკანა მხარეს ოქროსფერი (ყვითელი) წარწერა ქართულ ენაზე: "სოდ"; წოდების შესაბამისი ფურნიტურა და ატრიბუტიკა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) ყოველდღიური საგაზაფხულო-საშემოდგომო ფორმა

პლანშეტი 2

1. ყოველდღიური საგაზაფხულო-საშემოდგომო ფორმა – შავი ფერის შარვალი; ლურჯი ფერის მოკლე ქურთუკი; ლურჯი ფერის წინაფრიანი ქუდი; ქუდის წინა მხარეს, ქურთუკის უკანა მხარეს და მკლავებზე ოქროსფერი (ყვითელი) წარწერა ქართულ ენაზე: "სოდ"; ქურთუკის წინა, მარცხენა მხარეს ოქროსფერი (ყვითელი) წარწერა ქართულ
ენაზე: "შ.ს.ს. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი"; წოდების შესაბამისი ფურნიტურა და ატრიბუტიკა.

2. ყოველდღიური საგაზაფხული-საშემოდგომო ფორმა - შავი ფერის შარვალი; ლურჯი ფერის გრძელმკლავიანი პერანგი წინა, მარცხენა მხარეს ოქროსფერი (ყვითელი) ქართული წარწერით "შ.ს.ს. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი"; ლურჯი ფერის წინაფრიანი ქუდი წინა მხარეს ქართული წარწერით: "სოდ"; წოდების შესაბამისი ფურნიტურა და ატრიბუტიკა.

3. ლურჯი ფერის ჟილეტი; ჟილეტის უკანა მხარეს ოქროსფერი (ყვითელი) წარწერა ქართულ ენაზე: "სოდ"; ჟილეტის წინა, მარცხენა მხარეს - ოქროსფერი (ყვითელი) წარწერა ქართულ ენაზე: "შ.ს.ს. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი"; წოდების შესაბამისი ფურნიტურა და ატრიბუტიკა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) ზამთრის ყოველდღიური ფორმა

ყოველდღიური ზამთრის ფორმა

პლანშეტი 3

ყოველდღიური ზამთრის ფორმა – შავი ფერის შარვალი; ლურჯი ფერის დათბუნებული ქურთუკი; შავი ფერის ნაქსოვი ქუდი; ქუდის წინა მხარეს, ქურთუკის უკანა მხარეს და მკლავებზე ოქროსფერი (ყვითელი) წარწერა ქართულ ენაზე: "სოდ"; ქურთუკის წინა, მარცხენა მხარეს ოქროსფერი (ყვითელი) წარწერა ქართულ ენაზე: "შ.ს.ს. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი"; წოდების შესაბამისი ფურნიტურა და ატრიბუტიკა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) სამკლაური ემბლემა

სამკლაური ემბლემა

პლანშეტი 4

სამკლაური ემბლემა – სტილიზებული ჰერალდიკური ფარის შავი ფერის ველზე გამოსახულია სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ემბლემა, რომლის ზედა ნაწილში ორივე მხარეს ამოტვიფრულია ოქროსფერი (ყვითელი) "ბოლნურ-კაცხური" ჯვარი, ხოლო ქვედა ნაწილში, ცენტრში - "შ.ს.ს."; ფარს გარშემო შემოვლებული აქვს ოქროსფერი (ყვითელი) კანტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) სახელმწიფო სპეციალური წოდების განმასხვავენელი ნიშნები



პლანშეტი 5

წოდების განმასხვავებელი ნიშნები სამხრეებისა და მკერდზე დანაკერების სახით.